ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №2662577

ნომერი: AR1410361

თარიღი : 03.06.2016

გაცემის თარიღი : 21.06.2016

გაცნობის თარიღი : 04.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი რუსთაველი , N 18 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მანანა ბურთიკაშვილი პ/ნ 01017001283
- თბილისი შ.რუსთაველის გამზ. N 18

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

## გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1410361 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. #18-ში კონდიციონერის დანადგარის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2016 წლის 12 აპრილის #2535645 გადაწყვეტილებით, ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს (ოქმი N14, 07.04.16წ.) დასკვნის საფუძველზე მიეცა დადებითი შეფასება ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის გამზ. N18–ში (ძეგლი) არსებულ შენობაზე კონდიციონერის მოწყობის ესკიზის წინასწარი შეთანხმების საკითხს.

2016 წლის 02 ივნისს #AR1410087 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ბესარიონ გეწაძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. #18-ში (ს/კ #01.15.05.010.003.01.516) კონდიციონერის გარე ბლოკის მონტაჟის ნებართვის გაცემა, რომლის საფუძველზე სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების ჩატარებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით, სამსახურის მიერ 2012-2016 წლებში გაცემული ნებართვები გამოტანილია ვებ–გვერდზე (www.tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

ამასთან გაცნობებთ, რომ უნებართვოდ ნაწარმოები მშენებლობის ზედამხედველობის მიზნით უნდა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს. (მის: ჟ. შარტავას ქ. #7)